№ 54
მარტის 8, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 54
მარტის 8, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის საზაფხულო სამყოფის გვერდით

საუკეთესო სააგარაკო

ადგილები,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსოსაჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟნიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—8)

საზოგადო კრება

სამარხი კასისა

ქართულ თეატრის დარბაზში, **მარტის** 9 **რიცხვს, კვირას დილის** 11 საათზედ, დანიშნულია **ტფილისის სამარხი კასის** წევრთა საზოგადო კრება: განსახილველად და **დასამტკიცებლად წლიურის** ანგარიშისა, **ამოსარჩევად სამის სარევიზიო** და **ერთის გამგეობის** წევრისა **და მათი ნაცვლებისა.**

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☞ ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად. ☜

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ამით აცნობებს ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთ, რომ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება დანიშნულია 15 მარტს, დილის 10 საათზედ, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში; ამიტომ სთხოვს ბ.ბ. თავად-აზნაურთ, საბუთები იმისა რომ უფლება აქვთ თავად-აზნაურთა საქმეებსა და არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, გაუგზავმონ მას 15 მარტამდე, სიის შესადგენად. ამასთანავე აცნობებს, 10 ივნისს 1902 წ. უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრის მე-5 მუხლის ძალით, შედგენილი თავად აზნაურთა სია, მაზრის თავად-აზნაურთაგან განხილვის შემდეგ, დაბეჭდილ იქმნება. (3—6—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე ჰავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—3-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ვ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფიბანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი, 8 მარტი.

დღეს, საღამოს 8 საათზე, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კავკასიელ შეუძლო სტუდენტთა დამახმარებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

ვინც, ასე თუ ისე, დაჰკვირვებია კავკასიელ სტუდენტთა შევიწროვებულ ნივთიერ მდგომირეობას, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ხსენებულ საზოგადოების აზრი და დანიშნულება მეტად დიდ-მნიშვნელოვანია. თუ ამ საზოგადოების გამგენი თავის მოვალეობას ღირსეულად გაუძღვებიან, საზოგადოება თავის უმთავრეს მოწოდებას ადვილად შეასრულებს და მით დიდს სამსახურს, დიდს ნივთიერ დახმარებას გაუწევს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კავკასიელ მოსწავლეთ. ამისათვის, ვიმეორებთ, საჭიროა მხოლოდ საზოგადოების მახლობელნი გამგენი თავის მოღვაწეობაში მტკიცედ ადგნენ სამართლიანობის გზას, არ აჰყვნენ შენიან ჩემიანობას და არასოდეს არ დაივიწყონ, რომ „ქმნა საქმისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“; მადლი მატლად გადიქცევა და საზოგადოების ნაყოფიერ არსებობასაც ძირი მაშინ გამოეთხრება, როცა გაჭირვებულ მოსწავლეთათვის დახმარების აღმოჩენა და მადლის ქმნა ყალბ ნიადაგზედ იწარმოებს და საგვარტომო ქიშპობისა და შენიან-ჩემიანობაზე მოინდომებს დამყარებას. რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი და სხვა კავკასიაში დაბინადრებულ ერის მოსწავლე ახალგაზრდობა დიდის იმედით შეჰყურებს ამ საზოგადოებას და ყველა მათგანი ჰფიქრობს, რომ ნამდვილად გაჭირვებული შემწეობას მიიღებს „საზოგადოების“ შეძლებისამებრ.

ამიტომ თვითოეული მშობელი, ეროვნების განურჩევლად, თავის მოვალეობადა სთვლის, შეიტანოს ამ საზოგადოების სალაროში შეძლებისადაგვარი წვლილი და ამნაირად ცოტათი მაინც შეამსუბუქოს ის მძიმე ტვირთი, რომელიც ამ ჟამად კისრად აწევს ჩვენს სტუდენტობას. შემწირველნი და შეწირულების მიმღებნი, ყველანი ერთხმად, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობას მოელიან ამ საზოგადოებისაგან.

მართალია, კავკასიაში დაბინადრებულ ერთა შორის ურთი-ერთობა ,ჟამთა ვითარების გამო,სასურველის სიამ-ტკბილობით, თავს ვერ მოიწონებსდა ზოგჯერ,სამწუხაროდ, საერთო საქმეში დასაგმობფერსმიიღებსხოლმე,მაგრამ სტუდენტთა დამახმარებელ საზოგადოების დაარსების საქმეში-კი ყველა ერის წარმომადგენელებმა შესამჩნევი ერთგულობა და ერთსულობა გამოიჩინეს. საზოგადოებამ ამ სიმპატიურ დაწესებულების მახლობელ გამგეთ აირჩია თითქმის თანაბრივ ყველა ერის წარმომადგენელი იმ იმედით, რომ ეს საზოგადოების მიერ არჩეულნი ღირსეულად ხელს ჩაჰკიდებდნენ სამართლიანობის დროშას და თავის წინდახედულის მოქმედებით არ გაამწვავებდნენ ისეთაც გამწვავებულ საგვარტომო ურთიერთობას.

როცა საზოგადოება გამგეობის წევრთ ირჩევდა, სწორედ ამ აზრით იყო გამსჭვალული. საზოგადოებამ კარგად იცოდა რა სიფრთხილით მოღვაწეობა იყო საჭირო მომავალ გამგეობის წევრთათვის, რომ თითეულის ეროვნების წარმომადგენელთა ინტერესები მშვიდობიანათ შეეთანხმებია და ეს საშვილი-შვილო და დიდმნიშვნელოვანი საქმე გვარტომოპის ვნებათა ღელვის უდანაშაულო მსხვერპლად არ გაეხადა.

დიაღ, საზოგადოება არჩევნების დროს ასე ჰფიქრობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სტუდენტთა საზოგადოების გამგეობის ერთმა ნაწილმა ერთის წლის განმავლობაშიაც ვერ შესძლო „სიმართლის სასწორი“ არ გაემრუდებინა. მკითხველი მიხვდება უთუოდ, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ იმ დადგენილების შესახებ, რომელიც სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის შეწირულების გამო. „ივერიამ“ ამ დადგენილების შესახებ თავის დროზე განმარტა, რომ საზოგადოების გამგეობა მეტად წინდაუხედავად, უკანონოდ და საზოგადოების საზიანოდ მოიქცა; განმარტა რომ გამგეობა ამგვარ მოუფიქრებელის და უკანონო დადგენილებით ამწვავებს ისეთაც გამწვავებულ ქართველ-სომეხთა ურთიერთობასაო.

დასამტკიცებლად იმისა, რომ გამგეობამ თვისის მოუფიქრებელისა და სრულიად უკანონო დადგენილებით უფრო გაამწვავა ქართველ სომეხთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება, ნათლად სჩანს დღევანდელ ნომერში გადმობეჭდილ „მშაკის“ წერილიდან, რომლის ავტორი მთელს ქართველობას მიწასთან ასწორებს, როცა უწოდებს „მოძმე ქამიას“, „სომხის ქამიას“ და უკიჟინებს „კაცთ მოძულეობას“. როგორ ჰგონია სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობას, ნუ-თუ „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“-ს ავტორი თ-დი ილია ჭავჭავაძე, ის ილია ჭავჭავაძე, რომელსაც მთელი საქართველო კიდით-კიდემდე ადიდებს, თავის უწარჩინებულეს მწერლადა და მამულისშვილად მიაჩნია, ასეთს უმგზავსო, სათაკილო და რეტროგრადიულ აზრების მქადაგებელია?!. ნუ თუ „კაცია ადამიანის“ ავტორი ქართველობას „კაცთ მოძულეობას“ აჩვევს, თავის მოძმეთა შორის ასეთს სათაკილო აზრებს ავრცელებს და შურსა და მტრობას სთესავს?!.

ვისაც თვალთა ხედვის ისარი ჯერ კიდევ ბოროტებით არ მიუშხამავს, უთუოდ ნათლად დარწმუნდებოდა, რომ „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“-ში სომეხთა ერი ერთი სიტყვიტაც არ არის ავად მოხსენებული, პირიქით, სომხობას, როგორც ერს, ნაციას ავტორი არა ერთხელ დიდის პატივისცემით იხსენიებს. ქართველობა ან თ-დი ილია ჭავჭავაძე რა შუაშია, როცა სომხების ერთის ნაწილის მოქმედება საზიზღარი და დასაგმობია, როცა ფაქტები ამ მხრივ თავის თავად მჭერმეტყველებით ღაღადებს! ვიდრე თ-დ ილია ჭავჭავაძის მიერ ანუსხული ფაქტები ფაქტიურადვე, საფუძვლიანად უარყოფილი არ იქმნება, მანამდე „მშაკის“ quasi ლიბერალების კიჟინი და ბრალდება ერთ მანყულადაც არ ეღირება.

ხოლო სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ ამ უსუსური ლიბერალობით საშვილიშვილო საქმე ფერხდება და ამიტომ, თუ დღევანდელ საზოგადო კრებას სურს სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას ნორმალური და სამართლიანი გზა გაუკვლიოს, აუცილებლად საჭიროა გამგეობის ზემოდასახელებული შეცდომა გაასწოროს და ბ-ნ ნ. ალექსი-მესხიშვილის შეწირულება არ უარ-ჰყოს.

ტფილისი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსს ი. ივანოვსკის იმ კვირია მოელიან ქალაქში.

◆ საბურთალოზედ დასახლებულთ უნდათ, ქალაქის სამზღვართა შორის შეირიცხოს საბურთალო, რადგან ქალაქი მაშინ იზრუნებს რასმე აქაურობისათვისაო. სამაგიეროდ, იქაურ მემამულეთ, გაბაანთ და ზოგს სხვა მკვიდრთაც არ უნდათ ესა: ქალაქი ხარჯს გადაგვახდევინებს და მოწყობით-კი არას მოაწყობსო. ამ საქმის მოწეს-რიგება და საზოგადო გამორკვევა იმისი, თუ რა შემოვა საბურთალოს მკვიდრთაგან ხარჯად და რამდენი ?ოუნდება იმ განაპირის მოწყობის საქმეს, ქალაქის გამგეობას მიუნდვია თვისის წევრის ჩერქეზიშვილისა და ქალაქის მიწის მზომელისათვის.

◆ 10 მარტს უნდა განიხილოს ქალაქის

საბჭომ ახალ სამასწავლებლო კომისიის წევრთა არჩევნების საქმე, რადგან ძველს კომისიას უკვე ვადა გაუთავდა.

✦ თებერვლის განმავლობაში ბათუმს მიუღია ნავთ-გამყვანის მილით 4 მილიონზედ მეტი ფუთი ნავთი.

✦ ფოთმა გადასწყვიტა კვირაობით ვაჭრობა იწყებოდეს დუქან-მაღაზიებში 12-დგან ნაშუადღევის 5 საათამდე.

✦ ფინანსთა მინისტრმა შესაძლოდ დაინახა ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის მმართველობის შუამდგომლობის თანახმად შეცვლილ იქმნას ამ ბანკის წესდების 28, 30, 31 §§ და 33, 53, 64 და 75 §§ შენიშვნები.

✦ კონტროლიორის გედევანიშვილისა და კონდუქტორის სტურუას მკვლელებს სამხედრო სასამართლომ 5 მარტს გადუწყვიტა კოლომინსა და ჩერნიკოვს სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით, ხოლო ლიუბიმოვს—20 წლით კატორგა. სასამართლომ ამასთანავე საჭიროდ დაინახა იშუამდგომლოს ამ სასჯელის შემსუბუქებისათვის.

✦ რობის ვადა გაუთავდა ფუნიკულერის აყვანისა მამა-დავითის მთაზედ. მისმა რწმუნებულმა ინჟ. რაგოლერმა სთხოვა ქალაქს, ცოტა კიდევ გვადროვეთო, ფუნიკულერის გაკეთება დაგვიანდა, იმიტომ რომ მხოლოდ თებერვალში დამტკიცდა ფუნიკულერის გაკეთების სააქციონერო საზოგადოების წესდება მინისტრთა კომიტეტის-მიერო. ერთ-ორს თვეში შესდგება ეგ საზოგადოება, რადგან ნახევარი აქციებისა თანხმაა შეიძინოს უსახელო საზოგადოებამ, ხოლო მეორე ნახევარი უნდა გაიყიდოს მხოლოდ რუსეთშიო.

✦ დღეს, ქალაქის გამგეობის სადგურში, დანიშნულია შეერთებული კრება გამგეობისა და საჰიდრავლიკო სადგურის კომისსიის წევრთა; კრებაზედ მოწვეულნი არიან ხმოსანნი ინჟინერები, ტეხნიკოსები, უსახელო საზოგადოების დირექტორი ბ-ნი როგოლერი და სხვა ინჟინერები; კრებამ უნდა განიხილოს ინჟინერ კირაკოზოვის მიერ შედგენილი პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ საჰიდრავლიკო სადგურისა; კრება, განიხილავს რა სადგურის ხარჯთ-აღრიცხვას, გარდასცემს ქალაქის საფინანსო კომისსიას განსახილველად და შემდეგ წარედგინება ტფილისის საბჭოს.

✦ დღეს ტფილისის საბრეშუმო სადგურის შენობაში დანიშნულია რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა კრება; კრება საზოგადოების საქმეთა გარდა, განიხილავს გაგრაში მცენარეების გამოფენის გამართვის შესახებ კითხვასაც.

✦ ქალაქის ვაჭრობის უფროსმა ზედამხედველმა მიმართა გამგეობას და სთხოვა, ქალაქის ვაჭრობის პოლიციის მოხელეთ მომავალ აღდგომისათვის მიეცეთ საჩუქარი; უფროსი ზედამხედველის თხოვნა განხილული იქნება გამგეობის კრებაზედ და დადგენილება გარდაეცემა ქალაქის საფინანსო კომისიას.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ოფიციალურად აუწყა ქალაქის თავს, რომ რადგანაც საბჭომ არ შეიწყნარა საგუბერნიო საბჭოს დადგენილება და არ იკისრა მისი აღსრულება, ქალაქის სკოლათა კომიტეტის გაუქმების შესახებ, ამიტომ როგორც სახელოსნო სკოლის ყურის გდება, აგრეთვე ქალების საპროფესიონალური სკოლისა, უნდა იკისროს თვით ქალაქის გამგეობამაო.

✦ როგორც ნამდვილი წყაროდან შევიტყვეთ, სოფელ ქვიშხეთში 2 მარტს, როცა ჩვენი თეატრის მხცოვანი მსახიობი ბ. კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი ტფილისში დასეირნობდა, იმის სახლში შესულან ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი და რაც-კი რამ ძვირფასი მოუხელებიათ, ან წაუღიათ, ან დაულეწიათ; მათ და საუბედუროდ, მალე გაუგიათ, დასწევიან ხაშურის სადგურზედ და მოპარული ნივთებით ეს ვაჟბატონები გაუკავებიათ; როგორც ქურდებს თითონ უთქვამთ, მათს თავხედობას იქნამდის მიუღწევია, რომ უპატრონო სახლში დაკეტილი ფორტეპიანოც-კი გაუტეხნიათ და თივისებური ლეკური დაუკრავთ; გუშინ ტფილისიდგან პროკურორი გაემგზავრა ქვიშხეთში საქმის გამოსაძიებლად; 1500 მანათის ნივთებია წაღებული; როგორც ამბობენ, ერთი თვით ქვიშხეთელი ყოფილა, ერთიც იმ დურგალთაგანი, რომელიც პ. კ. ყიფიანის სახლში მუშაობდა.

✦ არა ერთხელ მიუქცევიათ გაზეთებში ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ ტფილისის მეეტლეები ქუჩებში საშინელის სისწრაფითა და მოურიდებლად მიერეკებიან ცხენებს; ამასთანა მათს გაუფრთხილებლობას ბევრჯელ მსხვერპლიც-კი შეუწირავს და მაინც შველა არსაიდან არ არის; გუშინ-წინ, იქნებოდა, ესე საღამო-ჟამის შვიდის ნახევარი, მიხეილის ხიდზედ დაეჯახა ბირჟაზედ მომუშავე ფაიტონი, ვიღაცის საკუთარს ეტლს (ვგონებ ლაზარევის საკუთარი ეტლი იყო) ეტლში მსხდომი მანდილოსანი და თვით პატრონი გადმოცვივდნენ ძირს, შეუწუხდა ქალს გული და წყლით ძლივძლივობით მოიყვანეს გონსა; დაშავებული მანდილოსანი წაიყვანეს მეორე ეტლით სახლში, ბირჟის მეეტლე-კი პოლიციამ შეიპყრო და გაამგზავრა საბოქაულოში; ამ, თითქოს გასართობს რამე სანახავს, ხალხი იმოდენა მოაწყდა რომ მთელი ათი წამი შეწყვეტილი იყო უსახელო საზოგადოების ვაგონების მიმოსვლა და ბევრი მათგანი დიდს უკმაყოფილებას უცხადებდა პოლიციას მეეტლეების წინდაუხედაობაზედ.

✦ კავკასიაში მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულს განზრახვა აქვს ამ ახლო მომავალში დანიშნოს კრება, რომელიც განიხილავს ამიერ-კავკასიაში ბრინჯის მოყვანის გაუმჯობესების კითხვას.

✦ ინჟინერ გრიბოედოვმა მიმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს და სთხოვს, საზოგადოების დახმარებით, მემამულეთა შორის გავრცელდეს ხარკოვში ფონ-როზენბერგის სისტემით დამზადებული სეტყვის გამფანტავი ზარბაზნები, რომლებიც, ინჟ. გრიბოედოვის აზრით, არ ჩამოუვარდებიან სიმაგრით სამზღვარ გარეთიდგან შემოტანილ ზარბაზნებს.

✦ 22 მარტს, ქ. დუშეთში, დანიშნულია, არჩევნებისა და საქმეების განსახილველად, დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა კრება; ამიტომ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს 23 თებერვლისთვის დაუნიშნავს თავად-აზნაურთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს, რა უფლებები აქვთ მინიჭებული თავად-აზნაურთ არჩევნებისა და საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ.

✦ სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრება დანიშნულია 18 მარტისათვის, ამიტომ ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა თავად-აზნაურობის არჩევნებისა და საქმეების გარჩევაში, უნდა წარუდგინოს მაზრის წინამძღოლს უფლებების საბუთი, რომელიც მას ანიჭებს მონაწილეობის მიღებას.

✦ 11 მარტს დანიშნულია ქალაქის გამგეობის წევრთა კრება, საფინანსო კომისიის თავმჯდომარის თანადასწრებით, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე ქალაქის მმართველობაში მოსამსახურეთა დამხმარებელ კასის დაარსების შესახებ.

✦ დღეს დანიშნულია ტფილისში უძრავ მამულების გარდასახადის დამდგენელ კომისიის წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს, თუ ვისას რა და რა მამულებს ეპატიოთ სავალდებულო გარდასახადი.

✦ როგორც ვაუწყებდით მკითხველებს, დანიშნული იყო კომისსია, რომელსაც უნდა განეხილა ქალაქის გამგეობის 1901 წლის ანგარიში; კომისსიამ, განიხილა რა ანგარიში, წარუდგინა გამგეობას თავისი ზოგიერთა მოსაზრება; გამგეობამ თავის მხრივ, განიხილა რა კომისიის მოხსენება, თანახმად კომისიის შენიშვნისა, შეასწორა ზოგიერთა საქმე და დაადგინა, ყველა მასალა აღიბეჭდოს; აღბეჭდილი საქმის წარმოება წარედგინება საბჭოს განსახილველად.

✦ ამ ჟამად ტფილისის ოლქის საბებიო ინსტიტუტი იმდენათ გაივსო მშობიარე ქალებით, რომ, უადგილობისა გამო, ადმინისტრაცია ინსტიტუტისა იძულებულია ყოველ დღე უარი განუცხადოს ინსტიტუტში თავის შეფარების მსურველთ. ამის გამოისობით საბჭოს ხმოსანს ქანანოვს შეუტანია თხოვნა ქალაქის გამგეობაში და სთხოვს, დაარსოს ქალაქმა ავლაბარში მოშობიარე ქალთა თავშესაფარი, ბ-ნი ქანანოვი სთხოვს მასთანავე, გამგეობას, რომ ამ კითხვის განხილვა მიენდოს ტფილისის სასანიტარო-საექიმო საბჭოს და მის მიერ შემუშავებული მოხსენება წარდგენილ იქმნას საბჭოში განსახილველად.

✦ გაზეთებმა გვამცნეს, ვითომ ერთი დასი ტფილისის საბაღოსნო-სამეურნეო სკოლის შეგირდებისა უკვე გამგზავრებულა კიდეც სოფ. კასპში, თავ. ზ. ერისთავის მამულში სამეცადინოთ; როგორც სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყეთ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ჯერ არც ერთი დასი არ გამგზავრებულა სამუშაოდ; სკოლის საპედაგოგიო საბჭოს იმედი აქვს, მომავალ კვირას მაინც მოახერხოს შეგირდების გაგზავნა კასპში.

✦ ხვალ, 9 მარტს, ქართულ თეატრში ქართული დასის მიერ, სვიმონიძის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქმნება ახალი ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამა „მურად ფაშა“, გადმოკეთებული ფრანგულიდგან.

✦ როგორც ქალაქის სასანიტარო-საექიმო განყოფილების შეკრებულ ცნობებიდგან სჩანს, 24 თებერვლიდგან 3 მარტამდინ ქალაქის გადამდებ სენით თავშესაფარში მისულა: 8 ქუნთრუშით ავადმყოფი, 2 ყვავილით, 4 ხუნაგით და 34 სახადით.

ქალაქისავე ქალების საავადმყოფოში 3 მარტისათვის ყოფილა 22 ავადმყოფი:

სულით საავადმყოფოში—50.

24 თებერვლიდგან 3 მარტამდის ქალაქში გადამდებ სენით ავად გამხდარა: 4—ხუნაგით, 10—სახადით, 3 ქუნთრუშით და სულ გადამდებ სენით—22.

✦ 6 მარტს მოხდა კრება კუკიასა და ავლაბარში ქალაქის მამულების მეთვალყურე კომისიის წევრთა; კრებამ დაამტკიცა ამ ადგილების მცველების გულზედ სატარებელი ნიშანი; ამასთანავე კრებამ განაცხადა სურვილი, მიეცეს ზოგიერთა სათიბი ადგილები იჯარით, ან გამოიწვიონ იმისთან პირნი, რომლებმაც იკისრონ ან სანახევროთ ან სამესამედოთ ამ ადგილების გათიბვა; კომისიამვე დაუნიშნა კრების მდივანს, თითო კრებაზედ ოქმის შედგენაში სამ სამი მანეთი.

✦ თუმცა ტფილისის გაზეთებს რამდენჯერმე მიუქცევიათ ყურადღება ტფილისის უსახელო საზოგადოების ვაგონების მიმოსვლაზედ, მაგრამ ვერა და ვერ მოწესრიგდა მათი მიმოსვლა: ტყუილად-კი არ განაცხადა საბჭოს ხმოსანმა ბ. ხუდადოვმა კრებაზედ, რომ „ისე ნელა დადიან ვაგონები, რომ მე ვასწრობ ხოლმე ფეხითაო“; გუშინწინ ერთმა ვაგონზედ მჯდომმა, თავის თხოვნაზედ, რომ ცოტა აეჩქარებინა ცხენები მეეტლისაგან ამისთანა პასუხი მიიღო: თუ არ მოგწონს, გადაბრძანდი და ფაიტონში ჩაჯექიო; რასაკვირველია, მგზავრები ამისთანა წინდაუხედავის პასუხით აღელვებულნი იყვნენ და ორი მგზავრი წა-იდა უსახელო საზოგადოების მმართველობაში ოქმის შესადგენათ; გუშინ კიდევ ღამის საათის თერთმეტის ნახევარზედ ისეთის სისწრაფით მიერეკებოდნენ პუშკინის ქუჩის თავქვეზედ, რომ საგუბერნიო სავლეხო საქმეთა საბჭოს მდივანს, შეხტომის დროს, ხელი დაუსხლტა და საშინელის სიმძიმით დაეცა ქვეზედ; ამ დროს ზედ წამოაწყდა პირდაპირ მოდენილი ვაგონიც და ცხენები ზედ შესდგებოდნენ, რომ მეეტლეს მარჯვეთ არ შეეყენებინა; განა ვინ ჩამოსთვლის იმ უწესრობას, რაც ქალაქის რკინის გზებზედ ხდება; კარგს იზამს გზების მეთვალყურე კომისია, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს და თუ ჩქარა მიმოსვლა შეუძლებელია ვაგონებისთვის, ის მაინც დაავალოს, რომ თავაზიანათ ექცეოდნენ მიმომსვლელთ მეეტლეები.

✦ ჩვენის ქალაქის გამგეობა იმდენსა ჰზრუნავს თავის ღარიბ მცხოვრებლებისათვის, რამდენსაც ავდრის მავდობელი ჩვენთვის.

რომ ეს მართალია, ამას ამტკიცებს ნავთის ყიდვის საქმე, მეფურნე-მეპურეების ადგილ-წახსნიდობა და სხვა. თუ არა ვცდები, სამი წელიწადი მაინც უნდა იყოს, რაც ერთსა და იმავე ნიხრით ჰხელმძღვანელობენ. ფურნეში ნაყიდ ათ გირ. პურს უსათუოდ ორი გირი აკლია. ასევე იქცევიან ზოგიერთნი მეპურენიც. ნუ თუ ყურადღების ღირსი არ არის ესა და ამ გვარი ათასი სხვა? წარმოიდგინეთ, „მეფურნის ახლო-მახლო რომ ვინმემ მოიწადინოს პურის ყიდვა, ოც თუმნობით აძლე-

ფელეტონი

რას ლაპარაკობს სომხური ჟურნალ-გაზეთობა?

კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელის საზოგადოების გამგეობის ერთის განაჩენის გამო.

წერილი ლ—ისა

(„მშაკ“ № 30, თებერვლის 9)

დრო იცვლება. უკუნეთის მდინარეს ცვალებადი ტალღები მოაქვს. ხედავთ, ხან ტალღები და ტალახიანია, ხან ცოტად დაწმენდილია, სილამაზე არ აკლიათ, ხან-კი, ისიც იშვიათ შემთხვევაში, სრულიად წმინდა და ანკარაა მდინარება ჟამისა.

1899 წ. ქართველმა ძველმა მწერალმა, ახლა ბანკის მმართველმა თავადმა ჭავჭავაძემ თავის გაზეთში „ივერიაში“ სერიად დაბეჭდა ფელეტონები, სახელად „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. უთუოდ გეხსომებათ, რომ იმ დროს სომხიჭამიობა ტფილისში დღის ამბავი, ველიჩკოს თავგასულობის დრო იყო. ველიჩკოს მოკავშირე და მოძმე იყო „ივერია“, რომელიც აგრეთვე იწიხლებოდა, იგინებოდა. თანამშრომელთა მოქმედება რომ აღარ იკმარა, კნიაზმა (ავტორისაა) ილია ჭავჭავაძემ აღესა კალამი დ̃ ბანკის საქმეთა შორის დასწერა ზემოხსენებული წერილები, რის გამო ველიჩკოსაგან ქება დიდებას ეღირსა.

დრო გავიდა. მღვრიე, ტალახიანმა ტალღებმა ჩაიარა, მოგვშორდა. მათ შემდეგმა ტალღებმა ცოტ-ცოტად, ნელ-ნელა, ძლივს შესამჩნევად იწყეს დაწმენდა. სომხიჭამიობა თუ სრულებით არ მოისპო, რამდენადმე დაწყნარებულ იქმნა. ერობრივის წინასწარ აზრიანობისა და ერთმანერთის მძვინვარე სიძულვილის ბნელ დღეთა ცოტ-ცოტად იწყეს გამოდარება და მკრთალ ნათელში ხელახლა გაისმა მდაბალი დ̃ დამკრთალი ხმა, რომელიც ჰკიცხავს და წყევა-კრულვას უთვლის ხალხთა ურთიერთ შორის მტრობასა, ხოლო აქებ-ადიდებს სრულიად კაცთა ძმობას, ერთმანერთის გამტანობასა.

რამდენადაც ბნელი და მტანჯველია ღამე, მკრთალის ნათლით ამომავალი დილაც იმდენად მშვიდი და კეთილია. ასე რომ ყოველი ადამიანი გუნებაზე მოდის, მშვიდობის წიაღს დაეწაფოს, დავიწყებას მისცეს შეურაცხყოფა, ძვირის მეტყველება, ერთის სიტყვით ყოველი ბოროტება. ასე უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც.

მაგრამ ამ წელს სრულიად მოულოდნელად დაიბეჭდა ტფილისში რუსულად ერთი ბროშურა. კაცთ-მოძულე ქართველებს არ ნდომებიათ თავიანთი საქონელი კვალ-დაუტოვებლად დაეღუპოდათ. აბა როგორ შეიძლებოდა დროებით მაინც გაჩუმება? როგორ დავიწყებინათ დაგესლვის ხელობა? იმათაც აუღიათ და რუსულად უთარგმნიათ ჭავჭავაძის წერილები სომეხთა წინააღმდეგ, თარგმანი კიდეც დაუბეჭდიათ.

თავის დროზე მეც მივიღე ერთი ასეთი წიგნაკი. ხოლო პირველი კითხვა, რომელსაც ის თარგმანი ჰყოფდა მკითხველისადმი, ეს იყო: „ამ ქვეყნად რად მოვსულვართ?“ ადვილ შესატყობი იყო, თუ რათა. „ივერიის“ სვეტებზე ჭავჭავაძის თხზულება გასაგები იქმნებოდა მხოლოდ ქართველებისათვის. იმასობაში-კი საჭირო იყო, უფრო ვრცელ წრეს შეეტყო მისი ამბავი. ქართველს ერთხელ, ხუთჯერ გადუკითხავს თავისი კნიაზის (ავტორისაა) ნამოქმედარი, გაუგია, რომ სომეხი ქართველის ყოვლად მოსისხარი მტერია, რომ უნდა ძულდეს სომეხი, როგორც ყოვლად საძაგელი ქმნილება, რომ სომეხი ემუქრება ქართველს, სიცოცხლეს მოგისპობ, სისხლს გამოგწოვო.

მაგრამ კმარა-კი, მარტო ქართველმა გაიგოს ესო? არა. ვთარგმნოთ მრთლად რუსულად და, რაც მარტო ქართლოსის მეთათვის ცხადია, განეცხადება რუსეთის 130 მილიონ ხალხსაო. დამეთანხმეთ, მკითხველო, რომ ქართველ კაცთ-მოძულეთათვის ეს ადვილი, გონივრული აზრი იყო. ხომ იცით, რომ ერთი და იგივე არაა, როცა ვისმე სასჯელში აგდებენ, მურს უსმენ ერთი მუჭა ხალხისა და დიდის ერის სიმრავლის წინაშე. თავადს ჭავჭავაძეს ნერწყვისა და მურისათვის სჭიროდა უფრო ფართო ასპარეზი, უფრო მაღალი ამბიონი. ას ოცდა ათი მილიონი ხალხის გასაგები ენა, რა ბრძანებაა, განუსაზღვრელად ძლიერი, ბოლოს მომღები იარაღია საზიზღარი მტრის წინააღმდეგ. ვინ იცის, ეგების სომხი-ჭამია ქართველების აზრით საჭიროა ფრანგულის, ინგლისურის ენითაც თარგმა კნიაზ (ავტორისაა) ილიკოს ნაწერისა, რათა მრთლად ქვეყნიერობამ იხილოს, თუ სომხის ერი რა სამარცხვინოა. ვინ იცის, ეგების, დღეს არა, ხვალე გამოჩნდეს ის თარგმანებიცა.

პირადად დიდად მოხარული ვიქნები, თუ ასე მოხდა. ეხლაც მოხარული ვარ, რომ რუსული თარგმანი აღბეჭდილა, ნათელი ქვეყნად მოსულა, სამწერლო ქვეყნის საკუთრებად გამხდარა. ეხლა ყოველ ადამიანს შეუძლია გაეცნოს კნიაზ (ავტორისაა) ილიკოს აზროვნების მარგალიტებსა, შეუძლია დააფასოს, თუ რამდენ გროშად ღირს მისი ბრალდება, მისი ფაქტები, მისი მამულიშვილური გრძნობა. კაცთ-მოძულე ქართველებს ნდომებიათ სომხებისათვის ნერწყვა უფრო დიდსალაყბოზე და ერთი რამ კი დავიწყებიათ. ის, რომ ის ფართო და დიდი სალაყბო შეიძლება მსაჯულადაც გადიქცეს, შეიძლება კიდეც გადაჭრას, თუ რის ღირსნი არიან, ვინც ისეთის სიადვილით, ისეთის მჩატე გონებით, ისეთის ბალღურის მსჯელობით სინათლეში გამოდიან, როგორც ბრალმდებელნი. მაშ, ჰთარგმნონ ყოვლის ენით, მრთელ ქვეყნიერობას შეატყობინონ თავიანთი ვიანაობა-რაობა. საკითხავი ეს როდია.

უფრო მნიშვნელოვანი საკითხავია აი რა. რუსულ თარგმანზედ აღბეჭდილია, თითო გაყიდულ წიგნზე ერთი შაური ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელის საზოგადოების საკუთრებას შეადგენსო.

ქველ მოქმედების ასეთი გამოჟღაპრება, აი რა არის აღმაშფოთებელი. გაყიდო ერის შესაზიზღებელი შხამი და არმად ნავაჭრის ფულის თითო შაური გაიღო კეთილის ყოფის განზრახვათ,—ეს რასა ჰგავს? ყოველის კეთილ-ზრდილისა და კეთილ-ზნიანის ადამიანისთვის დანაშაულობაა ხალხთა გადამტერება, გადაკიდება. დანაშაულობა, დიახ, სხვა სახელი არა აქვს ასეთ მოქმედებას განათლებულის კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე. დანაშაულობა ჩაიდინო და ქველ-მოქმედება ჰქმნა, მისი ძალი აქვს, გაამწიკვლიანო წმინდა მცნება, მისი ძალი აქვს, გაასისხლიანო ყოვლად სალვთო იდია.

ხანდახან ისიც მოხდება, რომ ასეთ ბნელს ნამოქმედარს თვალს ვერ მოკვრენ ხოლმე, გაუკითხველად ჰსტოვებენ. მაგრამ აწინდელი დრო ასეთი როდია. სიძულვილისა და მოძმიჭამიობის თესვის საფასურად ქველმოქმედების ჩამდენმა ბატონებმა მიიღეს ღირსეული სასყიდელი: ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელმა საზოგადოებამ გამოაცხადა ყველა გაზეთებში, უარს ვამბობ, მივიღო ასეთის წიგნის ვაჭრობით მოგებული შაურებიო. თქვენ, უეჭველად, წაიკითხავდით საზოგადოების წერილს „მშაკში“, უეჭველად გაიგებდით, თუ რისი თქმა უნდოდა.

საჯაროდ კეთილს, გულშემატკივარ საზოგადოებას არა სურს, დანაშაულობისაგან გროშები მიიღოს, არა ჰსურს, თავისი უბიწო სახელით დაბუროს შავი, უპატიო ნამოქმედარი. ამიტომ იგი სალაყბოდგან, საყოველთაო გასაგონებლად, აუწყებს არამკითხე ქველმოქმედთა: საქმე ერთი, ორი კაპიკი როდია. საქმე საზოგადოებრივის სინიდისის სამსჯავროა. ხოლო ეს სინიდისი გვასწავლის, ზნეობა, სიმართლე მკვდარი როდია და როდი შეიძლება სალაყბოზე იმღერო, რაც გინდა სხვა-და-სხვა ბნელის განზრახვითაო.

ეს პატარა საქმე, ეს მოკლე უწყება ერთი იმ მოვლენათაგანია, რომელიც მხოლოდ სიამოვნების ტკბილ ღიმილს მოჰგვრის მოწინავე, ზოგად-კაცობრივ აზრთა თაყვანის მცემელ ადამიანსა. იგი გვაჩვენებს, რომ ძლიერი და მკვეთრი იარაღი იპოვება ბნელეთის, სიავის წინააღმდეგ საბრძოლველად. შეიძლება ამოვარდეს ყოველი ბოროტება, თუ გვეყოლა გულის მხმობელი, გამკითხველი საზოგადოება. მხნე და დღეგრძელი იყოს ეს დიდი ძალა. გვასწავლოს შეძაგება, გვანიშნოს, თუ რას პირი და რას ზურგი უნდა ვუჩვენოთ, ხოლო ჩვენში ნუ იქმნება სიავე და ბოროტება.

ეს პატარა საქმე გარეგანი წესის მოვლენა როდია. იგი ჩვენი დროების დანაბადია. ვხედავთ, თუ დღითი დღე რა საზიზღარი, აუტანელი ხდება ის ერობრივი ბრძოლა, რომელიც სამი, ოთხი წლის წინეთ აღიგზნო. დაუკვირდით კავკასიის მრთლად ჟურნალ-გაზეთობას, როგორ გაჰქრობია კაცთმოძულეობა, როგორ კიცხავს ყოველ მოვლენას, რომელიც თავს იჩენს, როგორც ძაღლთა პირობის ნიმუში? გამონაკლი იმდენად ცოტაა, იმდენად საბრალო, რომ შეგვიძლია ვთქვათ, ძმობის, გამტანობის აღმსარებელი გაზეთების რიცხვი უმეტეს წილადი-კი არა, ყოვლადი, ზოგადია. ეხლა დიდი სირცხვილი არის ველიჩკოს მსგავსება შორეულიც-კი იქონიოს კაცმა. ეხლა დავის დროს მოცილეს მოცილის მოსაკლავად საკმაოდ მიაჩნია თქვას ერთ დროს ველიჩკოს თანამშრომელი ყოფილა იგიო. რაღაც წყევა-კრულვად, ჰირად გამხდარა ეს სახელი და კავკასიურ ჟურნალ-გაზეთობაში თვითეულივე მომუშავე კაცი ყოველ ღონესა ხმარობს, თავისუფალ მოაზრე, კაცთ მოყვარე, ერობრივ წინასწარ აზრიანობისაგან აზატ იქმნეს.

ეს საყოველთაო აშკარა მდინარება როდია, მკითხველო. დიახ, დაკარგული როდია ის იდიები, რომელიც კაცობრიობას ათასწლოვანის ტანჯვა-წვალებით ხელს უგდია. ჯერ კიდევ იპოვება, სულდგმულობს. მხოლოდ ბნელი ძალაა, ვგონებ, რომ ჰსწადია, გააქარწყლოს იგი, ბარბაროსობა და მტარვალობა დაამყაროს ქვეყნად, გოდება და კბილთა ღრჭენა მოავლინოს ზოგად კაცთმოყვარეობისა, ძმურის დაყვავების ნაცვლად. ხოლო ჭეშმარიტებამ მუდამ უნდა უგულებელ ჰყოს ის, ვინც მას უგულებელ ჰყოფს. თავადის ილიკოს მთარგმნელებს უნდოდათ უგულებელ ეყოთ ის დასაბამი, რომ შეუძლებელია დანაშაულობით ქველმოქმედების ჩადენა, მაგრამ სალაყბომ თვითონ იგინი უგულებელ ჰყო.

აი რა საიმედო ნიშანი დაჰყვება ხანდახან ჩვენ დროებასა. ვიხარებდეთ, მკითხველო. იგი მოგვცემს ძალასა და მედგრობას, განუწყვეტლივ ვიმოქმედოთ სიბნელისა და სიავის წინააღმდეგ.

იმატოს ამ ძალმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ზომაზე მეტად, ყოველ დღე, წამ და წუთ დაგვიახლოვოს ეს ძალა,—და ჩვენში გამრავლდნენ მებრძოლნი და მაშინ ვნახავთ, ჩვენი სულთა მხუთავი სიბნელე თანდათან გაციაგებულიყოს...

მთარგმნელი

კლდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ, მხოლოდ გაგვეცალოთ. მე ვიცი ერთი მეფურნე, სამი წელიწადია თვეში 50 მ. იხდის და დუქანი დაკეტილი უგდია. საიდან, თუ მოგება არა აქვთ. დროა ქალაქმა თვალები გამოახილოს და ყურები გამოიჩიჩქნოს.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგი ერთი მეფურნე ექვს აბაზიან პურს 90 კაპ. ჰყიდის. აგრეთვე ზოგი ერთი მეპურე-მეთონე, განსაკუთრებით ავლაბარში, შვიდ აბაზიან პურს მანეთადა და ორშაურადა ჰყიდის. კარგია, ვისაც ხელი და ფეხი ერჩის, წავიდეს და იქ იყიდოს. ფუთზედ 30 კაპ. ცოტა ფული არ არის, მაგრამ რა ჰქნას დიდუბესა და ნახალოვკაში მცხოვრებელმა მუშა კაცმა? სად ირბინოს!? დროა, დრო, ჩვენმა ძალათ მაცხონე მამებმა მამინაცვლობას თავი დაანებონ და გულ-შემატკივრობა გაუწიონ ისედაც მათ მიერ დაჩაგრულს და დავრდომილ ხალხს.

მატყუარანი და გაიძვერანი ტფილისში.

ჩვენს დალოცვილს დედა-ქალაქ ტფილისს რომ გონების თვალით შემოუარო, დათვლილთაც ვერ დასთვლი, იმდენს თაღლითს, მატყუარა მკითხავ-ექიმბაშსა და ცხრა თოკში გამძვრალ გაიძვერას შეჰხვდები. ისეთი ქსელი გაუბამთ საზოგადოების ნაძირალ ადამიანთა, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს ერთნაირათა ჰყვლეფავენ, ატყუებენ და ხმის გამცემი კი არავინა ჰყავთ. საძრახისი და სავალალო ის არის, რომ ამ საერთო ფერხულში ზოგი ერთი ხელოსანიც (ცოლებითურთ) ჩარეულან. მე ვიცნობ აქ ერთ მეჩექმეს ავლაბარში, რომელსაც პატიოსნის შრომისათვის თავი მიუნებებია და ხალხის მატყუარობით ქეთხუდასავითა სცხოვრობს. მე ვიცნობ ხუთსა და ექვს დალაქს, რომლებიც სხვა-და-სხვა სენით შეპყრობილ ავადმყოფებსა სწამლობენ და ძალიან ბევრსაც ისტუმრებენ საიქიოსკენ. თან ზოგს ამახინჯებენ კიდეც. კბილის ექიმობა ხომ ამათი ხელობაა. მათ შორის ვიცნობ კიდევ ერთს, რომელიც, ამ ექიმობის გარდა, თავად ლობიოთი მკითხაობს და ცოლი ბანქოს ქაღალდით. ყოველ დღე მიმსვლელს უარს ეუბნება, ღამე უნდა მოხვიდე, თუ გინდა ყველაფერი დაწვრილებით გაგიგოვო; აგრეთვე იქცევა ამისი თანამეცხედრე დარეჯანიც. ქმარს დუქნის ეზოში აქვს სამკითხველო ოთახი და ცოლი-კი კარგა მოშორებითა სცხოვრობს და სახლში მკითხაობს. პირველი, ე. ი. ქმარი მანეთიდგან სამ მანეთამდე იღებს, ცოლი-კი ექვს შაურსა და ექვს პურს. აი, სვინდისზედა და ნამუსზედ ხელის აღება თუ გნებამთ, ამასა ჰქვიან. უბადრუკი ქმარი ხომ მოთავეთიშე ვერ გაუხდება თავის გაწვრთნილ მეუღლეს, რომ ამ ქალბატონმა სხვაფრივაც დაიწყოს ვაჭრობა. დროა, დრო ამ უსვინიდისო თვალთ მაქცურ ხელობას თვითონვე მიანებონ თავი ამ ვაჟბატონ-ქალბატონებმა, თორემ კოკა ყოველთვის წყლის გზაზედ გატყდება ხოლმე.

—

კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება. 6 მარტს, სამხედრო შტაბის დარბაზში ბ-ნმა შოსტაკმა ფრიად საინტერესო წერილი წაიკითხა თავისს მოგზაურობის შესახებ რაჭაში და სვანეთში. ლექტორს გულდასმით, ბეჯითად შეუმუშავებია ამორჩეული საგანი. ბ-ნ შოსტაკს მგზავრობაში ბევრი საინტერესო სურათები გადაეღო ფოტოგრაფიულად, და ახლა ნისლოვან სურათებად წარმოგვიდგინა თვალ-წინ; ამ სურათებმა განსაკუთრებული შნო მისცეს ბ-ნ შოსტაკის მოხსენებას. რიონის ხეობა, მთის ფერდობი, უხვი ბუნებით შემკულნი, უზარ-მაზარი კლდეები, სხვა-და-სხვა ადგილები, სადაც ტყვიისა და სხვა მადანი ინახება—ცოცხლად წარმოგვიდგა თვალ-წინ. სურათებს განმარტავდა ბ-ნი შოსტაკი მაღალი, მკაფიო ხმით.

მთის კალთებში მიმალული რაჭის სოფლები, მაგალითად გლოლა, რაჭის მცხოვრებთა ტიპები, ძველი ნანგრევები, სურთთი და სხვა-და-სხვა მცენარეებით შემკულნი—ყველა ეს სურათები ერთი მეორეს სცვლიდნენ და მწყობრად ეთანხმებოდნენ ლექციის შინაარსს.

რაჭაში ბევრი მადანია ტყვიისა, მარილის და სხ.—სთქვა ბ-ნ შოსტაკმა, ჩვენ-კი საზღვარ გარეთიდგან შემოგვაქვს წელიწადში 6 მილიონამდე ფუთი ტყვია.

ბ-ნ შოსტაკის მოხსენებას არ ჰქონდა მშრალი, აკადემიური ხასიათი. ბუნების სიუხვემ არ დაჩრდილა ბ-ნ შოსტაკის თვალში ამ უხვი ბუნების კალთებში მცხოვრები ღარიბი ადამიანი, რაჭველი და სხვანი. უგზოობა, მიწის სივიწროვე, გაუნათლებლობა, სასტიკი ზამთარი, რომელიც, მაგალითად, 9 თვის განმავლობაში მთელ ქვეყანას მოსწყვეტს ხოლმე სვანეთს. რამდენი კაცი იღუპება ამ მკაცრ ბუნებასთან ბრძოლაში! წელიწადი არ გაივლის ისე, რომ აქა-იქ არ იმსხვერპლოს თოვლის ზვავებმა და ყინვამ იქაური მცხოვრები. სვანეთში მხოლოდ ქერი მოდის. ისეთი სიღარიბე და უსაღსრობაა, რომ სვანი ქალებიც გადადიან უღელ ტეხილზედ პურის საშოვრად და შინ მოსატანად, ეს იმ დროს, როცა ბ-ნმა შოსტაკმა აღმოაჩინა სვანეთში, ენგურის ხეობაში, უეჭველი ნიშნები ოქროს მადნისა. „სანამ-კი უგზოობას არაფერი ეშველება—ეს მადანი უქმად უნდა დარჩეს დედამიწის გულშიო“, —სთქვა ლექტორმა. სვანეთი შემოუერთდა რუსეთს იმ განზრახვით, რომ მის ბედ-იღბალს ეშველებოდა რამეო.

ბ-ნმა შოსტაკმა მოიყვანა ზოგ. ბართოლომეის სიტყვა სვანების მიმართ, მათი შემოერთების შემდეგ. ამ სიტყვაში გამოთქმულია იმედები, რომელნიც დღემდინაც განუხორციელებელნი დარჩნენ.

ბ-ნ შოსტაკის მოხსენების განსაკუთრებული ღირსება იყო იმ ხალხისადმი სიმპატია, რომლის გაცნობა მოიწადინა ლექტორმა.

დარბაზი სავსე იყო ხალხით, რომელმაც ტაშის ცემით გამოუცხადა ბ-ნ ლექტორს თავისი თანაგრძნობა.

გაკვრით

ამას წინად ვიღაც კლიდონია ლორთქიფანიძისამ უჩივლა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკს—აღმასრულებელი ფურცელი წარვადგინე, რათა თ-დი კირილე ლორთქიფანიძისათვის ჯამაგირი დაეკავებინათ ჩემდა სასარგებლოდაო, მაგრამ გამგეობამ უარი მითხრა და ამიტომ ვითხოვ—თვით ბანკმა გადაიხადოს ფულიო. რადგან მომჩივანს ვექილი ჰყავდა (ბ. კვირკველია), ბანკმა-კი ჯერ-ჯერობით პასუხიც არ გასცა, ამიტომ მოსამართლემ, მოპასუხის თანდაუსწრებლად, საჩივარი დააკმაყოფილა.

ეს ამბავი აბა რა ყბად-ასაღები იყო, მაგრამ „ტფილისის ფურცელმა“ და „ჩერნომ. ვესტნიკმა“ მორთეს განგაში, დახეთ, ქუთაისის ბანკში რა უკანონობა ხდებაო!? „კვალმაც“ სიხარულით გადაბეჭდა. ბ-ნმა ზოილმა, ლანძღვის ცნობილმა მოტრფიალემ, ამ შემთხვევას ცალკე წერილიც უძღვნა, რომელშიაც ბ-ნს კირილეს ამ სიტყვებით მიმართა: „ვაი, შე საცოდავო ყოფილო ადამიანოო“.

ხდება ხოლმე, ზოგს კაცის მკვლელობაც კი შეემთხვევა, მაგრამ მაინც ადამიანად მოაქვს თავი და ნუ თუ, ამ დალოცვილების აზრით, ცოტაოდენი ვალის გადახდის დაგვიანება ადამიანობას წაართმევს ვისმეს. მერე, ნეტავ იცოდეთ, რა ვალის? 24 ივლისს 1884 წელს მოსამართლეს მიუსაჯნია კირილე ლორთქიფანიძისაგან ვიღაც ბარამოვისათვის 1000 მან. „ნეუსტოიკა“; ბარამოვს ლისტი სხვისთვის გადაუცია, სხვას დასასრულ—კლიდონია ლორთქიფანიძისათვის; 16 წელიწადზე მეტი გასულა; „ნეუსტოიკა“,—თითქო რცხვენოდათ,—უკანასკნელ დრომდე არავის მოუთხოვია; მხოლოდ კლიდონიამ წარადგინა ლისტი შარშან ბანკში. კირილემ იმის თქმაც არ იკადრა—ლისტს ვადა გაუვიდა და ძალა აღარა აქვსო.

თ-დი კირილე ლორთქიფანიძე დიდი მამულის პატრონი იყო, და თუ დიდძალი ქონება დაეკარგა და ვალიც დაედვა, ეს მხოლოდ საზოგადო საქმეებისა და ამხანაგების წყალობით, თორემ თვითონ ისევ ძველებურად, სტუდენტურად სცხოვრობს.

დღეს ქუთაისის მოსამართლემ, ბანკის თხოვნით, ხელმეორედ გაარჩია საქმე და კლდიონია ლორთქიფანიძის საჩივარი უკანონოდ იცნო. ნეტავი არ შერცხვებათ ბ. ზოილს და „ქუთათური შენიშვნების“ ავტორს, რომ ასე აჩქარდნენ, საქმის გათავებასაც არ მოუცადეს და უსამართლოდ „ადამიანის“ ღირსების ჩამორთმევაც მოინდომეს?

ვაი, რომ სირცხვილი ყველამ არ იცის.

ამას იმიტომ-კი არ ვამბობთ, რომ მაინც, და მაინც „ძველი ბურჟების“ გამოქომაგება გვინდოდეს; ჩვენ გვინდა მხოლოდ იმის თქმა, რომ რიგიანობას პატივი უნდა ვსცეთ, თორემ უნამუსობა წაგვრღვნის, რის ნიშნებსაც სამწუხაროდ, უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ.

ბ-ნ ზოილზე ლაპარაკმა გაგვახსენა ბ-ნ სიტყვას ურიგო ნახტომიც, რომელიც ცალკე პასუხის ღირსად არ მიგვაჩნდა. ერთი თვის წინად, 9 თებერვალს, როცა ტფილისში დიდი ყინვები იყო, ბ-მა სიტყვამაც შეუყეფა ბ-ნ ზდანოვიჩს და ჩვენი წიხლის წაკვრაც მოინდომა. „როდესაც ბ. ს. ჯაფარაშვილებს, ბრძანებს ბ. სიტყვა,—სჭირიათ კ. ჩიკვაიძე და მასთან მოლაპარაკება აქვთ, როდესაც თვითონვე მიმართავენ კალისტრატისებურ საავიტაციო საშუალებას, ეს არაფერია. მაგრამ როდესაც მათ ოპოზიციასთან ერთად ბ-ნი ჩიკვაიძე ვისმე შავს ჩაუგდებს, ეს მომაკვდინებელი ცოდვაა!“—აბა, ერთი ჰკითხეთ, როდის ვთქვით, ვისაც ჩიკვაიძე მიემხროს, იმას ხელი ჰკარითო? როდის, რომელ საქმეზე და რაგვარი მოლაპარაკება გვქონდა ჩიკვაიძესთან? როდის და სახელდობრ რომელ კალისტრატისებურ საშუალებას მავმართეთ?

ჩვენ კაი ხანია შევეჩვიეთ ბ-ნ სიტყვას ჭორიკანობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიცხე ან ყინვა დააჭერს ხოლმე, ვინაიდგან ამ დროს,—როგორც თვითონვე წამოსცდა,—აზრი ერევა. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ბ-ნი სიტყვა ასე დომხალივით ურევს ხოლმე ერთმანეთში კოსმოპოლიტობას და ეროვნებას, მტერსა და მოყვარეს, ველიჩკოსა და ომს, „მეგობრის წერილს“ და რიგიან მიმართულებას..

სერ. ჯაფარაშვილი.

ქართული თეატრის დღევანდელი საჭიროება.

წერილი პირველი.

(დასასრული *)

ჩვენი თეატრი სახალხოა. განდიდებულ, ზვიად ინტელიგენციას და განაზებულს არისტოკრატიას ჩვენი პირი არა აქვს; თუ მოიხედავენ აქეთკენ, მოიხედავენ საქველმოქმედო აზრით...

ჩვენის თეატრის მუშტარი და სტუმარი არის ხალხი, მშრომელი ხალხი: ვაჭარი, ნოქარი, მუშა, წვრილი ჩინოვნიკობა, უსახელოს ინტელიგენცია და ახალ-გაზრდობა. ესენი ეძებენ თეატრში, ზნეობრივ კმაყოფილების გარდა, გონივრულ გართობასა და სიამოვნებას. ამათ-კი ასიამოვნებს, რამდენათაც მე გამიცვნია მათი გემოვნება,—უფრო ჩვენებური—ქართული ცხოვრების სურათები; ისეთი პიესა, რომელიც იმათს გულს ჩასწვდება და გონებასაც ეტყვის რასმე; მათს წუხილს შეეხება, მათ მდგომარეობას ცოტათ მაინც ნათელს მოჰფენს, გულს მოჰფხანს. მაშასადამე, ჩვენმა სცენამაც ისეთი საზრდო უნდა მიაწოდოს, როგორიც იმათ მოსწონთ, როგორსაც ისინი თხოულობენ. როდესაც ცხოვრება წინ წავა, როდესაც ჩვენებური პიესები ვეღარ დააკმაყოფილებთ, მაშინ უნდა მივაწოდოთ მესაფერი უცხოური, ისეთი ღრმა აზროვანი პიესები, რომლებსაც ეხლა არ ეკარებიან.

მე ამით ის-კი არ მინდა ვსთქვა, რომ ახლა უცხოურს სრულებით არ ეწყობიან, პატივს არა სცემენ მეთქი; არა, ბევრი პიესაა უცხო, რომ ჩვენი ხალხი გაგიჟებით ეტანება, მაგ. ჰამლეტი, რუყაზორი, მუზმუზელა და სხვ. უცხო ლიტერატურიდანაც ისეთი პიესები-კი არ უნდა წარმოვადგინოთ, რომლებიც არაფერს აძლევენ, არამც თუ მაყურებელს, არამედ თვით მთარგმნელსაც-კი, მაგ., რა მისცა ხალხს ან სხვას ზუდერმანის პიესამ „მიკუნჭული ბედნიერება“? მგონი, არავის არაფერი, საღამო დაიკარგა ამ წარმოდგენაზედ ყველა დამსწრეთათვის.

ხალხს უმთავრესად ჩვენივე ცხოვრება უნდა გავაცნოთ, ჩვენის ცხოვრების ჭირ-ბოროტი თვალით ვაჩვენოთ, ჩვენი ნაკლი და ჩამორჩენა სათვალსაჩინო გავხადოთ, რომ იმათაც მკაფიოდ და ნათლად წარმოიდგინონ თავისი ყოფა-ცხოვრება, მიაქციონ ყურადღება თავის მწარე ბედს და გაუმჯობესებას ეცადნენ.

თეატრი ქართველთათვის ის უნივერსიტეტია, სადაც ქართველობა უნდა აღიზარდოს, უნდა მომავალისთვის მოემზადოს, აზრი გაიმაგროს, თავისუფლად სუნთქვას, ხმის ამოღებას შეეჩვიოს.

სწორედ ამიტომ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, მეტი ორიგინალური პიესები წარმოვადგინოთ; მაგალითად, თუ სეზონში 36 პიესაა სათამაშო, 25, ან 20 მაინც, ორიგინალური უნდა იყოს, დანარჩენი უცხოური—ისიც საუკეთესო და არა 29-მი—19 უხეირო უცხო, ხოლო 7 ორიგინალური!.. რამდენათაც ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ჩვენთვის საინტერესო და საჭირო ქართველ მწერალთა რომანები, მოთხრობები, ან თუ ლექსები, როგორც ჩვენი ცხოვრების დამსურათებელი და ჩვენის მწუხარების გამომთქმელი, იმდენათაც ქართული თეატრის ორიგინალური რეპერტუარი ჩვენთვის საყურადღებო იმავე აზრით. შეიძლება ზოგი იმ ორიგინალურიდან სუსტიც იყოს, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები; შეიძლება ისეთს ღრმა აზრებს არ არკვევდეს, როგორც უცხოური, მაგრამ მაინც ჩვენებური სული და გული იქნება შიგ. მაყურებელი, მშრომელი მაყურებელი, რომელსაც იმდენი დრო არა აქვს, რომ ფილოსოფიაზედ იფიქროს, მერწმუნეთ, უფრო მეტს სიამოვნებასაც ნახავს და მეტს სარგებლობასაც.

ეს რომ ფიქრათ მოსვლოდა საპრემიო ჟიურის, იმ აუარებელ საპრემიო პიესებიდან რამდენსამე ამოარჩევდა და დრამ. საზოგ. გამგეობას დაავალებდა, წარმოედგინათ მაინც. (აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ მე არც ერთის საპრემიო პიესის ავტორი არ გახლავარ, მაინც ჩემი აზრი ასეთი ახირებულია). მე თითონ შემთხვევით წაკითხული მაქვს იმათ შორის ხუთიოდე პიესა (ჟიურის წევრი რომ ვყოფილიყავ, იქნები მაგდენიც ვერ წამეკითხა) და უნდა მოგახსენოთ, ამ ხუთში ორი მაინც ისეთი იყო, რომ წარმოსადგენად დიდად გამოდგებოდა. არა იმიტომ რომ გენიოსური ნაწარმოები იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენებური ცხოვრება იყო შიგ მესაფერად დასურათებული და ჩვენის ქვეყნის ვარამს ეხებოდა.

შესაძლებელია, სალიტერატურო კრიტიკას დაეწუნა (ჩვენი ახალ მოდის კრიტიკოსები ხომ წაუკითხავად—ზეპირადაც კარგად შეატყობენ ხოლმე ნაწარმოებს სიავკარგეს), მაგრამ მაგისი არ უნდა შეგვშინებოდა. სუსტი ორიგინალური პიესა არ გვირჩევნია სანახავად, ამ გვარსავე უცხოს?!. რა იყო „კოკვერლეის მკვლელობა“. რა იყო „კრიგალი“, „ლანდი“ და მრავალი სხვა ამ სეზონში წარმოდგენილი?.. ცოტა სუსტი პიესებია სამაგალითო თეატრებში? თუ ვერ მოიგონებთ, მე გიშველით. აი ახლახან აქ იყო კომისარჟევსკის ქალი; როგორი პიესები ითამაშა? მომეტებული ნაწილი მათი სუსტი იყო. აიღეთ თუნდა „საუკუნო სიყვარული“, „ველური“, „ტორილა“ და სხვ. მაშ რადათ თამაშობდნენ? იმიტომ რომ იმათთვის ის პიესები იყო საჭირო, რადგანაც კომისარჟევსკისა ამ პიესებში თამაშობდა ჩინებულად. თუ მიბაძვაა, ამაში უნდა მივბაძოთ უმთავრესად, ე. ი. როგორც ისინი თავის საჭიროების დაგვარად არჩევდნენ პიესებს, (რომ განთქმული არტისტი ქალი ეჩვენებინათ და ფული აედოთ) ისე ჩვენც ჩვენის საჭიროების მიხედვით უნდა ამოვარჩიოთ რეპერტუარი და ეგ საჭიროება, რაც არის, ხომ ზემოთ მოვახსენეთ. სხვა გვარი მიბაძვა ევროპისა თუ რუსეთის თეატრების მაგალითისა და მათი აყოლა ჯერ ხანად ჩვენ არ გამოგვადგება; ჩვენ სხვა საგანი გვაქვს და იმას უნდა ვემსახუროთ; ჩვენ ჩვენი წყლული გვტკივა და იმის წამალი გვინდა. უცხო თეატრები დიდის ხნისანი არიან. ის, რაც ახლა გვინდა გავაკეთოთ თეატრის შემწეობით—ხალხის გათვითცნობიერება—იმათ ასის და ორასი წლის წინად გააკეთეს. იმათ გზა გაკაფული აქვთ, თავისუფალი; ჩვენი გასაკაფია, ყამირია გასატეხი. ქართულმა თეატრმა თავის მუშაობა თითქმის თავიდან უნდა დაიწყოს (უცხოურთან შედარებით), ბეჯითად და გზა-გადუხვევლად უნდა მისდიოს თავის სატრფიალო საგანს და მხოლოდ მაშინ იქმნება იგი სასარგებლო ეროვნული დაწესებულება ხოლო როცა თეატრს ამისთანა დანიშნულება აქვს, რეპერტუარის გარკვეულს მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

ნარვილი,

---

*) იხ. „ივერია“, № 53.

ჩვენებური ამბები

ოზურგეთი. ამდენხანს თუ ცხვირ-ჩამომტვრეული „როტონდა“ იყო ბანქო-კამათლების სათამაშო დარბაზად გადაქცეული, ეხლა ბედმა გაუღიმა აქაურ ყმაწვილ კაცობას და გაიხსნა აქ ერთი ყავახანა. ახლა რა დროსაც უნდა შეიხედოთ ყავახანაში ყოველთვის დაგხვდებათ 30—40 ყმაწვილი კაცი და ხან მეტიც, რომელნიც შეექცევიან სხვა-და-სხვა თამაშობას.

სინთლითაც რომ გეძებნათ დღემდის ოზურგეთში, ერთს სუფთა და ხეირიან მოწყობილს სასადილოს ვერ შეხვდებოდით. ამ წლის იანვრიდან ბ-ნმა ი. ელენტმა დაიქირავა, ქალაქზე ცოტა მოშორებით, დიდი შენობა და გახსნა რესტორანი, რომელიც მშვენივრად მოაწყო და საქმელიც სუფთად და კარგად კეთდება. მაგრამ ჩვეულებრივი სენი ამ რესტორანსაც გადაედო. ყავახანაში თუ 30—40 მოთამაშეს შეხვდებით, ნაკლებს არც ამ რესტორანში ნახავთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ უფრო ჯიბე-სქელი მოთამაშეებია.

2 მარტს ს. მაკვანეთში, ოზურგეთზე 2 ვერსის მოშორებით, ღამის 10 საათზე ექვსი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი თავს დაესხნენ თავად ერ. ნაკაშიძეს და გაძარცვეს. როგორც მიამბეს, შესულან თუ არა ეზოში ბოროტ-გამზრახველები, ძაღლებს ყეფა დაუწყიათ; სახლიდგან გამოსულა თ. ნაკაშიძის მსახური, რომელსაც სტუმრები ჰგონებია, მაგრამ დაურტყამს თავში რევოლვერი ბოროტ-გამზრახველს და იქვე წაუქცევია; გაუტეხიათ ფანჯარა, სამნი შესულან სახლში, ხოლო სამს გარედან უდარაჯნიათ. ერთი სახლში მყოფთაგანი ბერდანკით ხელში თავს დასდგომია თავ. ერ. ნაკაშიძეს და უთქვამს: „შენ ფულები მოგვიტანე და სიკვდილის ნუ გეშინიაო“. გარედ მყოფნი-კი ხშირად დაუძახებდნენ თურმე: „მოჰკალი, ბიჭო, თუ არ მოგცეს ფულებიო“.

ბოროტ-გამზრახველებმა წაიღეს ბევრი ავეჯეულობა: ორი ოქროს საათი, პალტოები, ქალის კაბები, მოსახურავები, კოვზები ვერცხლისა, საკერავი მანქანა და მრავალი სხვა და ცოტაოდენი ფული. წაიღეს აგრეთვე მაგიდაზედ დადგმული და ანთებული ლამპა. სულ წაუღიათ ფულიან-ავეჯეულობიანად 700 მანეთამდე.

პოლიციამ მიიღო ზომები ბოროტ-გამზრახველთა აღმოსაჩენად.

ოზურგეთელი.

რუსეთი

27 თებერვალს, პეტერბურგში, შინაგანსაქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, დაიწყო სხდომები კომისიისა, რომელსაც საგნად აქვს საგუბერნიო სამმართველოების რეფორმა.

— გზათა სამინისტრომ საჭიროდ სცნო, რომ რკინის გზათა სადგურების უმცროსი მოხელენი და კონდუქტორები ყოველ ექვს თვეს გამოსცადონ მათი ხელობის ცოდნაში.

— გზათა სამინისტრო მოწადინებულია, უფრო მტკიცე საფუძველზე დააყენოს გზებზე დაშავებულთა ექსპერტიზა—ექიმთაგან გაშინჯვა, რადგან ახლა რკინის გზები ბევრ ფულს ხარჯავენ დაშავებულთა საზღაოდ.

უცხოეთი

გერმანია. ბერლინის რეიხსტაგის უკანასკნელ კრებაზე სოციალ-დემოკრატთა დასის მეთაურმა ბებელმა ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ სამხედრო ბიუჯეტს იხილავდნენ, და დეპუტატთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, თუ როგორ უყურებს მთავრობა ხმალში გაწვევას (დუელს).

ბებელმა მოაგონა დამსწრე საზოგადოებას საქმე პორუჩიკ მილდებრანდისა, რომელიც, რვა თვის პატიმრობის შემდეგ, გაანთავისუფლეს, თუმცა 2 წელიწადი ჰქონდა გარდაწყვეტილი ინსტერბურგში 1901 წ. პორუჩიკ ბლოსკოვიცის მოკვლის გამო.

შემდეგ ბებელი შეეხო ბერლინის სტუდენტთა ყრილობას, რომელზედაც დაადგინეს,—სამხედრო მინისტრსა ვსთხოვოთ, ხმლის მაგივრად, დამბაჩა იხმარონ, როცა სტუდენტებსა და სამხედრო კაცს შორის ხდება ხოლმე ხმალში გაწვევაო. „სამხედრო მინისტრმა, რასაკვირველია, უარ-ჰყო ეს თხოვნა, მაგრამ მე მსურს რეიხსტაგის ყურადღება მივაქციო ამ ყრილობასა. თუმცა სტუდენტთა დადგენილება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მთავრობის განკარგულებას, მაინც სრულიად დაუსჯელად დარჩნენ იგინი, და, თითქმის იმავე დროს მომხდარ მუშათა ყრილობას-კი განსაკუთრებულის სისასტიკით მოექცნენო“.

ბებელმა მიაქცია რეიხსტაგის ყურადღება აგრეთვე იმ გარემოებას, რომ გერმანელი ოფიცრები უღიერად ეპყრობიან ჯარის-კაცებსაო.

პრუსიის სამხედრო მინისტრმა ბებელის საპასუხოდ სთქვა,—ხმალში გაწვევისათვის დასჯილ ოფიცერს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუმცირებენ ხოლმე სასჯელს, თუ რაიმე განსაკუთრებულ, შესაწყნარებელ გარემოებაში ჩაიდინა დანაშაულიო. ბებელის მიერ დასახელებული მაგალითიც სწორედ ამ გვარი იყოო. მთავრობა, საზოგადოდ, მუდამ სასტიკად ეპყრობოდა ხმალში გაწვევას, აგრეთვე ბეჯითად ადევნებს თვალყურს, რომ ოფიცრები ცუდად არ ეკიდებოდნენ ჯარის-კაცებს და დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დეპუტატი ბებელი მეტად აზვიადებს საქმეს, რადგან იშვიათად ხდება ჩვენს ჯარში, რომ უფროსები უღიერად ეპყრობოდნენ ჯარის-კაცებსაო.

შემდეგ ამისა, სოციალ-დემოკრატმა კუნერტმა ილაპარაკა, მაგრამ თავმჯდომარემ შეჰნიშნა,—წრეს ნუ გადახვალთო, რადგან შემოდგომის აღლუმებზე იმპერატორს ვილჰელმ მე II-ის მოქმედებას კრიტიკის თვალით შეხედა და აღნიშნა მისი ზოგიერთი არა სასურველი საქციელიო.

დეპუტატმა შეჰყვირა,—რეიხსტაგში ყველაფერზედ შეიძლება ლაპარაკი: შეგვიძლიან ღმერთის სახელიც-კი ვახსენოთ, მაგრამ იმპერატორ ვილჰელმ მე-II-ის სახელს მაშინაც-კი ვერ წარმოვსთქვამთ, როცა აღლუმის შესახებ გვინდა ლაპარაკი!!! გრაფ ბალლესტრემმა ხელმეორედ მიჰმართა ორატორს, წესიერებას ნუ არღვევთო. მაშინ დეპუტატმა განაცხადა, პრეზიდენტი თავისუფლად ლაპარაკს გვიშლის, რეიხსტაგის უფლებას ფეხქვეშ ჰქელავსო, და ტრიბუნიდგან ჩამოვიდა.

აბაშეთი. როგორც გაზ. „Daily Tel.“-ი იუწყება, ამ დღეებში ინგლისიდგან გამგზავრებულა აბაშეთს მთელი ჯგუფი ინჟინერთა, რომელთაც განზრახვა აქვთ გამოკვლევა მოახდინონ აბაშეთის დედა-ქალაქ ადდის-აბებისა და ჰართუმის შემაერთებელ მომავალ რკინის გზისა, რომელიც 250 მილი იქნება სიგრძით. გაზეთის სიტყვით, ინგლისის ელჩს პოლკოვნიკ ჰარრინგტონს უკვე მიუღია ნეგუსისაგან ამ გზის კონცესსია; ეს გზა მხოლოდ ინგლისის თანხით უნდა იქნეს გაყვანილი. როგორც გამოუანგარიშნიათ 3,000,000 გირვანქა სტერლინგი დაჯდებაო.

ნარკვევი

გაზ. „Новости“ სწერს უმაღლესი მანიფესტის შესახებ:

მანიფესტში გამოცხადებულის აზრით მუშუშავებული განზრახვანი გლეხთა შესახებ კანონმდებლობის შეცვლისა ადგილობრივ საბჭოთ უნდა გარდაეცესთ; ამ საბჭოთ შეადგენენ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და საზოგადოებისაგან ნდობა-მოპოვებულნი საზოგადო მოღვაწენი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საბჭოებში მარტო განზრახ დანიშნულ პირთა კი არ მიიწვევენ, არამედ იმათაც, რომელნიც ახლა საზოგადო სამსახურის კაცებად ითვლებიან: თავად-აზნაურობის წინამძღოლნი, სა-

რობო სამმართველოთა თავმჯდომარენი და საერობო კრებათა ხმოსნები; ამ საბჭოთ უნდა განიხილონ არა თეორიულად დაყენებული საკითხნი, როგორც მაგალითად სამეურნეო კომიტეტებში მოხდა, არამედ პრაქტიკული განზრახვანი. როცა ადგილობრივ განიხილავენ ამ საგანს, შემდეგ იგი დაუბრუნდება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ამის მიხედვით შეადგენს სხვა-და-სხვა ღონისძიებათა პროექტს და საკანონმდებლო მსვლელობას მისცემს.

გაზ. „Нов. Врем.“-ში ვკითხულობთ უმაღლეს მანიფესტის შესახებ. როგორც ვიცით, მანიფესტში გამოთქმულია განზრახვა ადგილობრივი მართვა-გამგეობის გაუმჯობესობისა.

ერის, ხალხის ცხოვრება უმთავრესად სოფელში, მაზრაში, გუბერნიაში მიმდინარეობს. ადგილობრივი მმართველობა განაგებს მკვიდრთა უმთავრეს საჭიროებათ, ამიტომ პირველ საკითხად უნდა შეიქნეს ადგილობრივ სამმართველოთა წეს-რიგის გაუმჯობესობა.

დღეს ყველა სამაზრო და საგუბერნიო სამმართველოთა დედა-ჩარხი პეტერბურგშია მოთავსებული. მრავალი საკითხნი, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ, პეტერბურგის ცენტრალურ სამმართველოებში უნდა განხილულ იქმნენ და იქვე უნდა გადაწყდნენ. ეს წესი ცხოვრებას აშორებს ყოველ განზრახვას, სიცოცხლეს უსპობს მას. დედა ქალაქში არსებობს ერთი საზომი, რომლითაც იქ ვრცელი სახელმწიფოს მრავალ ფეროვან ცხოვრებას ჰზომავენ და სხვა-და-სხვა საგულისხმიერო საკითხთ გადასწყვეტენ ხოლმე. ადგილობრივ ცხოვრებას, მოქმედებას, ადამიანის პიროვნებას ეს წესი სიცოცხლეს უსპობს, ცხოვრებას უფერულობის დაღს ასვამს. დედა-ქალაქის ცენტრალური დაწესებულებანი ავსებული არიან საქმეებით და ცენტრალური სამმართველოს ვეება და რთულ მანქანაში ბოლოს და ბოლოს სხვა-და-სხვა ღრმა მნიშვნელოვან საკითხთა ბედ-იღბალის გარდამწყვეტელი, ნიკოლოზ I-ს თქმისა არ იყოს, სტოლონაჩალნიკია. სტოლონაჩალნიკი დღემდინაც მართავს რუსეთს, რომელსაც იგი მხოლოდ თავისი სამელნეს ფსკერზე სჭვრეტს.

წერილები
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

„კვალის“ მე-9 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია შუამთიდგან „ი“-სა, რომელიც ტობანიერის ორკლასიან სასწავლებელს ჩირქსა სცხებს მით, რომ ვითომც ერთმა მასწავლებელმა დაურიგა მოწაფეებს რუსული გაზეთები და გადაახდევინა კვერცხები, მოსწავლეები შეაჩვია ქურდობას და სხვა...

რადგანაც ამ სასწავლებლის მზრუნველად და საღმრთო სჯულის მასწავლებლადაც მე ვარ დღიდგან დაარსებასა, ყოველივე დაწვრილებით ვიცი და კიდევაც მოგახსენებთ: ტობანიერის სასწავლებლის მახლობლად არ მოიძებნება ისეთი დუქანი, გარდა ორიოდე საწვრილმანოსი და ფურნისა, სადაც მასწავლებლებს შეეძლოთ სანოვაგეს შოვნა; იარმუკა და დაბა სამტრედია შორს არის. ამასათვის მასწავლებლებლები ხშირად იძულებულნი არიან ქათამი, ყველი, კვერცხი და სხვა სანოვაგე მოსწავლეებს მოატანინონ ოჯახიდგან, რისთვისაც აძლევენ მოსწავლეებს ფულს, ხან ყარანდაშს, კალმებს და სხვას.

ხშირად მედუქნისაგან მოსწავლენი კვერცხზედ ყიდულობენ პურს თუ სხვა ნივთებს. თებერვლის დამდეგს-კი,—დღე და რიცხვი ნამდვილ არ მახსოვს,—მოსწავლები მისეოდნენ საწვრილმანო დუქანს, თითოს ეჭირა ხელში თითო კვერცხი და ყიდულობდნენ კალამს, თუ რვეულებისათვის შემოსახვევს ქაღალდს. ამ დროს ზარიც დაირეკა, მოსწავლეებიც გამოიქცნენ და თან ზოგს მათგანს, ვისაც ვერ მოესწრო ყიდვა, კვერცხი ეჭირა ხელში.

მასწავლებელმა გაიგო, თუ მათ რა უნდა ეყიდათ, დაუძახა მსახურს, შეაგროვებინა ოციოდე კვერცხი და მოსწავლეებს-კი დაურიგა ზოგს კალამი, ზოგს ფული, ზოგს ქაღალდი, გაზეთი, როგორც რუსული აგრეთვე ქართული „ცნობის ფურცელი“. წიგნებზედ შემოსახვევი ქაღალდი, მასწავლებელმა მუქთად დაურიგა ყმაწვილებს, მოეფერა მამობრივის სიყვარულით და დაარიგა, რომ სკოლაში იარონ თავის დროზედ და სახვევ ქაღალდისათვის ტყუილად ნუ ხარჯავენ ან ფულს ან კვერცხებს, არამედ მიართონ მას და ის აჩუქებს ძველ გაზეთებს წიგნების შესახვევად. კვერცხები-კი მასწავლებელმა შეანახვინა მსახურს.—ეს იყო და ეს! მეტი არაფერი.

მე თვითონ, როგორც მოძღვარი, მოწამე ვარ ამისა. ნეტავ ვიცოდე, რა დანაშაულობაა ეს ისეთი, რომ კორესპონდენტმა ისარგებლა?! რა საძრახისია ეს?! ვინ არ იცის, რომ სოფლის მასწავლებელსაც უნდა ჭამა და მოსწავლეების საშუალებით თუ არა, სად იყიდის სანოვაგეს მიყრუებულ სოფელში!? მკითხველი ადვილად შეატყობს, რომ ეს ზღაპრული კორესპონდენცია პირადი ინტერესებით თუ იქნება გამოწვეული, თორემ ისეთი ზნე დაცემული მასწავლებელი ძნელად მოიპოვება, რომ ბავშვები ქურდობას შეაჩვიოს. რუსულ გაზეთს ამ წელში აქ არავინ არ იღებს. წარსულს წელშიც გამოილაშქრა ამავე კორესპონდენტმა ტობანიერის სასწავლებლის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ, ვერ დაამცირებს ხალხის თვალში სასწავლებელს, რომელიც, მეექვსე წელიწადია, რაც ორ კლასიანი არის, თანდათან იზრდება და საქმეც ჩინებულად მიდის. აქ სწავლა დამთავრებული ბავშვები ყოველ წელს ადვილად იჭერენ ეგზამენს მესამე და მეოთხე კლასში ქალაქის სასწავლებლისა. საზოგადოება და მთავრობაც მადლიერია ამ სასწავლებლისა და ბავშვების.

ამით ვათავებ ამ საგანზედ ყოველ-გვარ ლაპარაკს. უმორჩილესად ვთხოვ სხვა რედაქციებს ქართულ-რუსულ გაზეთებისას, გადაბეჭდონ ეს წერილი.

მზრუნველი და საღმრთო რჯულის მასწავლებელი ტობანიერის ორ-კლასიანის სასწავლებლისა მღვდელი
ამბერკი მომფორია.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 მარტს.

პარიჟი. კომბმა მოითხოვა, გამოაცხადოს პალატამ, გვენდობა თუ არაო. მოითხოვა ეს მაშინ, როცა მომხრეობას უწევდა კომისიის წინადადებას, ნუ განვიხილავთ კონგრეგაციების შუამდგომლობათაო. წინადადება კომისიისა შეწყნარებულ იქმნა 300 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 257-ის ხმისა. პალატამ გადასწყვიტა გაკრულ იქმნას საფრანგეთის ყველა საზოგადოებათა კონგრეგაციაში დღევანდელი სიტყვა კომბისა.

ლონდონი. კრანბორნმა სთქვა, რაკი შეეკითხნენ, რომ ვიცე-კონსული დაინიშნა მონასტირს, იმიტომ რომ ის ქვეყანა მღელვარებაშიაო.

რომი. პრინეტტი დღეს პირველად მივიდა, ავადმყოფობის შემდეგ, გარეშე საქმეთა სამინისტროში.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. როცა ბჭობა იყო, დაწესდეს ნამდვილი რაოდენობა ჯარისა 235,761 კაცით, კონსერვატორმა ჟიბსმა ურჩია პალატას, შეამციროთ ჯარის რიცხვი 3,000 კაცითაო. ეს რჩევა არ იქმნა შეწყნარებული და ჯარის რაოდენობა იმდენი დარჩა, რამდენიც წინადვე იყო განზრახული.

ჰელსინგფორსი. გენერალ-გუბერნატორის თანაშემწემ მიიღო გენერალ-ადიუტანტის ბ-ნ როგოვისაგან, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, შემდეგი დეპეშა: „ხელმწიფე იმპერატორმა ინება და მოიწონა, რომ ჰელსინგფორსში 1-ს ფინლანდიის მსროლელთა ბრიგადასთან გაიხსნას სასადილოები უსაქმურობით გაჭირვებულ ღარიბთათვის. ამასთანავე მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება უოვლად ებრძანებინა უმაღლესი თავისი სურვილი შეწირვად ამ კეთილის საქმისათვის განსაკუთრებულის თანხისა წითელის ჯვრის საზოგადოების ფინლანდიის გამგეობის მოსახმარებლად; ამ თანხის რაოდენობაზედ ცალკე ცნობა მოგივათ“.

კიევი. ორი წლის წინად განსვენებულმა ტერეშჩენკომ შემოსწირა ქალაქს 150,000 მანეთი ორკლასიან სასწავლებლის და მასთან პედაგოგიურ მუზეუმის დასაარსებლად. სასწავლებლის გახსნის დასაჩქარებლად ტერეშჩენკოს შვილმა, ალექსანდრემ, გამოაცხადა სურვილი შემოსწიროს 100,000 მანეთი სამოსახლო ადგილის სასყიდლად და 120,000 მ. სასწავლებლის შესანახად. ქალაქის საბჭომ დაადგინა, გადუხადოს მადლობა შემომწირველს განსაკუთრებულის დეპუტაციით.

7 მარტი.

ბუდაპეშტი. იმპერატორი ფრანც იოსები 6 მარტს ვენაში გაემგზავრა.

სოფია. მთავრობამ კრებაში შეიტანა პროექტი საყოველთაო სადამოჟნო ტარიფისა. სამხედრო მინისტრი ითხოვს სამსახურის თავის დანებებას და კრებებს არ ესწრება.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა ინახულეს ღვთის მშობლის სახელობაზედ დაარსებული ძმობის თავშესაფარი.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მარტს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101¼ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა . . .	95¼ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	453½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	348¾ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. .	303¾ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	82⅞ წვ. გაყ
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	85⅛ გაყ.
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	90¾ წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	490 წვ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	199 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ფოთისაკენ:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ფოთისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ.).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

15 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) ხაიმაშვილების დავა.
2) დავა ი. ღულაძისა და კ. ეგიაზაროვისა.
3) დავა იაკობ გვაზავასი და ანთიმოზ სალოქვაძისა.
4) დავა მარკოზ მურადოვისა და ნ. კახიძისა.
5) დავა ალექსანდრე არხიპოვისა და ბესარიონ ფხაკაძისა.

განცხადება

ჭიათურის საურთიერთო ბანკი ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 **მარტს**, დილის 10 საათზედ, ჭიათურის სახალხო თეატრის დარბაზში, დანიშნულია **საზოგადო ჩვეულებრივი კრება წევრთა:**

განსახილველი საგნები.

1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა.
3) 1903 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4) შეცვლა წესდების ზოგიერთ §§-თა.
5) არჩევანი საბჭოს ოთხის წევრისა, ნაცვლად თ. თ. ბ. წერეთლისა, დ. ლიონიძისა, ბ.ბ. ჯ. იაშვილისა, ნ. წერეთლისა, გამგეობის ერთი წევრისა თ. კ. პ. თუმანიშვილისა და სარევიზო კომისიის წევრთა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ. (3—6—2)

ისყიდება ორი სასტუმროს მორთულობა (მებელი): ერთი 150 მ. და მეორე 75 მანათად. უკანასკნელს მებელის შესახამებელი მძიმე ფარდებიცა აქვს. მსურველთ შეუძლიანთ გაშინჯონ ყოველ დღე დილის 11—საღამოს 5 საათამდე. ნიკოლოოზის ქუჩა № 16, ბინადრობა ბაბინისა. (4—7—1)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (ივ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . .	ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე	„
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი.	„
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი.	„
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი.	საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი	ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჭელიძე	ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე. ნაცვლიშვილი	სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე.	ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა . , . .	განჯაში,
11, აბელ იაშვილი	დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი . . .	ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე	ყარსში.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მაიულეთშია, დარჩა უეკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის საძრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ რა ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდიბელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

მიღებულია სულ ახლა-ხან დამზადებული ფირფიტები ევროპიელთა და აჭაურ შესანიშნავ მომღერალთა სიმღერებისა.



გაფრთხილება!

კომპანია გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აბიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები. და აგრეთვე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა-და-სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, საცა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი-კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველთ პირველ მოთხოვნილებისამებრ.
(7—5)

დიდ-ძალი გრამოფონები და ფირფიტები გვაქვს ამოსარჩევად.

Дозволено цензурою. Тифлисъ. 7 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.